

UTF-8 ტექსტის შეტანა გამოტანა კონსოლზე

1 კონსოლზე გამოტანა

1.1 წყარო ფაილი BOM გარეშე

ქვემოთ მოყვანილი კოდი მუშაობს¹ Windows 7. ფაილი ჩაწერილ უნდა იქნას UTF-8 Without signature ოპციით (File -Save as-Save with encoding ის. სურ 1). ყურადღება მიაქციეთ, რომ კოდში მეოთხე ხაზი არის კომენტარში.

კოდი 1 BOM გარეშე

```
1 #include<stdio.h>
2 #ifdef WIN32
3 #include <windows.h>
4 //#pragma execution_character_set("utf-8")
5 #endif
6 int main(int argc, char * argv[])
7 {
8     #ifdef WIN32
9         SetConsoleOutputCP(CP_UTF8); // output is in UTF8
10    #endif
11    char georgian[] = "ქართული\n";
12    char russian[] = "Русский\n";
13    char greek[] = " βιβλος \n";
14    printf("%s", georgian);
15    printf("%s", russian);
16    printf("%s", greek);
17    return 0;
18 }
```


Windows 10 სისტემაში არის ორი ვარიანტი:

1. თუ File -Save as-Save with encoding დიალოგში არ ჩანს UTF-8 Without signature, ეს ნიშნავს რომ არაა გამართული ინგლისური ენის პაკეტი. გამართეთ (კლავიატურის გადამრთველიდან გადახვალთ დიალოგზე საიდანაც გამართავთ English Language Pack)
2. მეორე ვარიანტია ფაილის ჩაწერა BOM(Byte order mark https://en.wikipedia.org/wiki/Byte_order_mark)

1.2 წყარო ფაილი BOM-ით

ჩაწერეთ ფაილი როგორც UTF-8 With signature. ეს ოპცია გამოჩნდება ფაილის ჩაწერის იგივე დიალოგში. ამ შემთხვევაში მოუსხენით კომენტარი მე-4 ხაზზე. მე-4 ხაზზე შევვიძლია კომენტარი ყოველთვის მოხსნილი იყოს. ეს არაფერს არ აფუჭებს, მაგრამ გაითვალისწინეთ რომ ეს ინსტრუქცია არ მუშაობს ვიზუალ სტუდიო 2012-ში (2010, 2013,2016 — მუშაობს)

¹იმისათვის რომ გამოჩნდეს ტექსტი კონსოლზე გადაიწერეთ Lucida Console ფონტი <http://lshoshia.science.tsu.ge/C> დირექტორიიდან



სურ. 1